ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობის ფურცელი

№ 1905 შაბათი, 24 აგვისტო 1896—1902 ყოველ-დღიური გამოცემა № 1905

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ყოველ დღიური გაზეთი
„ცნობის-ფურცელი“
სურათებიანი დამატებით

1-ლ სექტემბრიდან წლის დამლევამდე ტფილისში დარიგებით და ქალაქგარედ გაგზავნით (რუსეთის იმპერიაში) ღირს **2** მან. და **60** კაპ,

ადრესი: Тифлисъ, редакція «Цнобисъ-Пурцели» (Большая Ванкская ул., домъ Мартирузова).

ამომრჩეველთ
მესამე საარჩევანო ნაწილისას

(მე-8, 9 და 10 საპოლიციო ნაწილები)

იწვევენ საზოგადო კრებაზე, რომელიც მოხდება კვირას, 25 აგვისტოს, დილის 10½ საათზე ვეტცელის სასტუმროში (შესასვლელი ქსენიას ქუჩიდან). კრებამ უნდა შეადგინოს საბოლოო სია ქალაქის საბჭოსხმოსნებად ასარჩევ კანდიდატებისა. (2—1)

საფაბრიკო საწყობი
ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა
გ. ი. პალიძე

რყევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკებისა.

ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. **ბაქო**, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუნდშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი საკანცელარიო საგნები. **ტელეფონი № 679.** (0—52)

მართა ივანეს ასული ხოსროევი და ნინო მაქსიმეს ასული ხოსროევისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი შვილისა და მეორე მეუღლის

დავით ისიდორეს ძე ხოსროევისას.

დასაფლავება მოხდება კვირას, 25 აგვისტოს. მიცვალებულის ბინა: ავჭალის ქუჩა, სარქისოვის სახლი № 9. მიცვალებულს გაასვენებენ კალოუბნის ეკლესიაში და წირვის შემდეგ—კუკიის სასაფლაოზე. (2—2)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დილით:

გ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ვ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვების 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი, შინაგანი, ნერვების და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ა. ზ. ბარხუქოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

ზ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

ზრ. მ. სოზოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედ-თა სნეულებანი 5—6 საათამდე.

მ. ი. იანჩევსკი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. 5—6 ს. კვირაობით 12—1 ს.

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

ზ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

ადრესი: კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

ტელეფონი № 274. (წლ.)

ფოთის საბუხჰალტერიო კურსები
ა. ქ. გიგინეიშვილისა.

თხოვნა მიიღება ყოველ დღე. სწავლა დაიწყება პირველ ენკენისთვიდან. პირობები და პროგრამები მსურველთ გაეგზავნება უფასოდ. (ნ. 20—17)

ქართული
სახალხო წარმოდგენების მმართველი სექცია

თხოვს ყველა იმ სცენის მოყვარულთ, ვისაც ჰსურს მონაწილეობა მიიღონ წლევანდელ სახალხო წარმოდგენებში, მობრძანდნენ 26 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე, ავჭალის ქუჩაზე, აუდიტორიაში და გამოუცხადონ სურვილი. (2—1)

ექიმი
ალექსანდრე გიორგის ძე
მაღალაშვილი
(მიხეილის ქუჩა, 30)

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე.

ექიმი
ვ. ს. მუსხელაშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს საღამოთი 5—8 საათ.

წყნეთის ქუჩა № 24 სახ. ვაჩნაძისა. (წ).

კბილის ექიმი
ივანე პავლეს ძე
ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის. კვირა-უქმე-დღეებში 10—1-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, № 38. (წლ.)

საზღვარ-გარედ

საფრანგეთი. წლის დამლევს უნდა მოხდეს სენატორების არჩევა. კონსტიტუციის ძალით, სენატი უნდა განახლდეს ხოლმე ნაწილ-ნაწილ. ახლა ასარჩევია ოთხმოც-დაცამეტი სენატორი. სენატს დიდი მნიშვნელობა აქვს საფრანგეთის ცხოვრებაში, რადგან მის დაუმტკიცებლად დეპუტატთა პალატას არ შეუძლია არც ერთი პროექტის განხორციელება. პალატისთვის ძალიან საჭიროა იცოდეს, ვისგან შესდგება სენატი, ანუ სენატორთა უმრავლესობა თანაუგრძნობს პალატის უმრავლესობას თუ არა. აი ამ კითხვის დაახლოვებით გამოსარკვევად მინისტრთა თავმჯდომარე კომბს კონფიდენციალური შემდეგი ცირკულიარი გაუგზავნია ყველა პრეფექტებისათვის: „გთხოვთ დაუყოვნებლივ წარმომიდგინოთ მოხსენება, რა მდგომარეობაშია საარჩევნო საქმე თქვენ დეპარტამენტში, და მაცნობოთ: მებრძოლ პარტიათა შედარებითი ძალა; მდგომარეობა იმ სენატორებისა, რომელთაც ვადა უთავდებათ, რამდენად მოსალოდნელია მათი ხელახლად არჩევა; ვინ იქნებიან თქვენი ვარაუდით კანდიდატებად, მათი გვარი, პროფესია, პოლიტიკური მიმართულება და სხვ. ერთი სიტყვით, უნდა შემატყობინოთ ყოველგვარი ცნობა, რომელიც ნებას მოგვცემს, რამდენადაც შესაძლებელია, დღესვე დავასკვნათ მომავალ არჩევნების შედეგი. ამავე საგნისთვის დაუყოვნებლივ წარმოადგინეთ ცხრილი, საიდანაც უნდა სჩანდეს პოლიტიკური შეხედულებანი იმ დელეგატთა, რომელნიც მონაწილეობას იღებენ სენატორების არჩევანში; ცხრილში აღნიშნული უნდა იყოს თვითოეული კომუნებით პოლიტიკური მიმართულება იმ დელეგატისა, რომელსაც სხვებზე მეტი შანსი აქვს, რომ მას აირჩევენ. აღნიშნული უნდა იყოს ასე: რეაქციონერი, ნაციონალისტი, პროგრესისტი, სამინისტროს მომხრე რესპუბლიკელი, რადიკალი, რადიკალ-სოციალისტი და სოციალისტი. ამ მოხსენების გამოგზავნის შემდეგ და ვიდრე არჩევნების ხანა დადგებოდეს, კეთილ-ინებეთ და შეავსეთ ან შეასწორეთ თქვენი ცნობები და ბოლოს შემატყობინეთ ყველა ინციდენტი, რომ მთავრობამ სწორედ და დაწვრილებით იცოდეს ყველაფერი“.

რეაქციონურმა გაზეთებმა იშოვნეს ეს „კონფიდენციალური“ ცირკულიარი და, რასაკვირველია, დაჰგმეს. ამის შესახებ გაზეთი „ტან“-ი შემდეგს პასუხს აძლევს: „მინისტრმა მხოლოდ ცნობები მოითხოვა იმ პირების შესახებ, რომელთაც, შეიძლება, კენჭი უყარონ სენატორობაზე; ეს ცნობები სულ უბრალო ცნობებია და ხვალვე ყველა გაზეთში წავიკითხავთ. როდესაც კომბი თავის ცირკულიარს ადგენდა, იგი სარგებლობდა თავის უფლებით. იმ მთავრობას, რომელიც არ ეცდებოდა გაეგო შედეგი ასეთი მნიშვნელოვანი არჩევნებისა, როგორიც არის სენატის ნაწილობითი განახლება, სწორედ ახირებული წარმოდგენა უნდა ჰქონოდა თავის არსებობის საგანზე. განა ის გაზეთები, რომელნიც ახლა ჰკიცხავენ მინისტრს, არ აპირებენ მიჰყვნენ მის მაგალითს და მოსთხოვონ თავის კორესპონდენტებს იგივე ცნობები, რომელთ წარმოდგენას მთავრობა ითხოვს თავის პრეფექტებისაგან? მაშ მინისტრის მოქმედებაში სად არის „არა-ლოიალური მანევრი“, რომელსაც ჰკიცხავს „სოლეილ“-ი? (რეაქციონური გაზეთია). მხოლოდ „ოტორიტე“-სთან ჩვენც შევნიშნავთ, რომ მთავრობა უფრო წინდახედული გამოდგა ოპოზიციაზე. მაგრამ ვისი ბრალია?“.

ავსტრო-უნგრეთი. როგორც იყო გათავდა გალიციელ გლეხების გაფიცვა. თურმე გაფიცვაში მონაწილეობა მიუღიათ 421 საზოგადოებას, 24 მაზრას. გაფიცულთა რიცხვი ასი ათასზე მეტი იყო. გაფიცვის შედეგი გლეხებისათვის საკმაოდ კარგი იყო. 75% გლეხებმა გაიმარჯვეს. 20% მოდის ისეთ გაფიცვაზე, სადაც მუშებსა და პატრონებს შორის თანხმობა ვერ ჩამოვარდა და გაფიცვა კვლავ არსებობს, მხოლოდ 5% იყო ისეთი შემთხვევა, რომ მუშებმა უწინდელ პირობით მოჰკიდეს ხელი სამუშაოს. ამას გარდა 200—300 სოფელში მებატონეებმა გაფიცვის შიშით, თავის ნებით მოუმატეს დღიურ სამუშაო ფულს. ორთა შუა რიცხვით სამუშაო ფულმა 60—100% აიწია; არის ისეთი შემთხვევა, სადაც ეს მომატება 120% გამოიხატება. სამუშაო ფულის მომატების გარდა, ზოგგან სხვაგვარადაც შემსუბუქდა გლეხების მდგომარეობა, მაგ. უფრო იაფადაა საწვავი შეშა, რომელსაც გლეხები მებატონის ტყიდან ზიდავდნენ; შეიძინეს საქონლის ძოვების უფლება ტყესა და ნაწვერლებში და სხვ.

ოსმალეთი. ერთ გაზეთს სწერენ კონსტანტინეპოლიდან: რამდენიმე თვეა, რაც ოსმალეთის მოხელეებს საზღვარ-გარედ ჯამაგირი არ მიუღიათ და ახლა ძალიან შევიწროებულნი არიან. მადრიდის ოსმალეთის ელჩმა დეპეშა გამოგზავნა კონსტანტინეპოლში და ენერგიულად ითხოვდა რამდენიმე თვის ჯამაგირს, რომელიც მას ერგებოდა. ამ თხოვნაზე არა თუ ფული, პასუხიც არ მისცეს. მაშინ ელჩმა ხამსახურიდან გადადგომის ნება ითხოვა დეპეშით. სულთანმა, რომელიც მანამდე ყურს იყრუებდა, მაშინვე ბრძანება გასცა ჯამაგირის გაგზავნისა, რადგანაც ელჩის გადადგომა სკანდალს გამოიწვევდა. სხვა ელჩები საზღვარ-გარედ უფულოდ სხედან, რადგან იმ უკიდურეს საშუალებისთვის არ მიუმართავთ, რომელსაც მათმა მადრიდელმა ამხანაგმა მიმართა“.

ინგლისი. 25 ოქტომბერს ლორდ კიტჩენერი წავა ინდოეთში და შეუდგება თავის სამსახურის ასრულებას. როგორც ვიცით, იგი დანიშნულია იქაურ ინგლისურ ჯარების მთავარ-სარდლად. 15 ნოემბერს იგი მივა ბომბეიში და იქიდან პირ-და-პირ დელში წავა, სადაც შეკრებილია 200 ათასი ჯარის კაცი.

ჰოლლანდია. პრეზიდენტი კრიუგერი წელს გამოსცემს თავის მოგონებებს, რომელიც მან უკარნახა ორ სეკრეტარს იმ ხნის განმავლობაში, რაც ევროპაში იმყოფება. მრავალმა საუკეთესო ფირმებმა სთხოვეს ხელთნაწერის დაბეჭდვის ნება და დიდ ფულს იძლეოდნენ. ამერიკელი გამომცემელი ფირმებიც ძალიან ცდილობდნენ ყიდვას. მაგრამ, როგორც მიუნხენის გაზეთები გვაუწყებენ, ეს უფლება მიუღია გამომცემელს ლემანს, რომელიც აპირებს წიგნის გამოცემას ყველა ევროპიულ ენაზე ერთსა და იმავე დროს.

ახალი ამბავი

◆ ტფილისში მყოფ კავკასიის ჯარების უფროსად **აღლუმების** დროს, 20 აგვისტოდან 2 სექტემბრამდე დაინიშნა მისი იმპერატორებითი უმაღლესობა დიდი მთავარი ნიკოლოოზ მიხეილის ძე, ხოლო 3 სექტემბრიდან 16 სექტემბრამდე ხელმძღვანელობა უნდა გასწიოს კავკასიის ჯართა მე-2 კორპუსის უფროსმა გენერალ-ლეიტენანტმა ფადეევმა.

◆ გუშინ, 23 აგვისტოს, ტფილისიდან კურსკში გაემგზავრა ალღუმებზედ დასასწრებლად კავკასიის მთავარ-მართებლის თანამდებობის აღმასრულებელი გენერალ-ლეიტენანტი **ა. ა. ფრეზე.**

◆ ხვალ, 25 აგვისტოს, ტფილისიდან კოჯორს მიემგზავრება **საქართველოს ეგზარხოსი ალექსი.**

◆ უწმ. სინოდის სამეურნეო განყოფილების დირექტორმა ბ-ნმა ოსტროუმოვმა

დაათვალიერა ვერაზედ **სასულიერო სემინარიის შენობისათვის** შეძენილი ადგილი, გეგმა შენობისა და დამზადებული მასალა. ოსტროუმოვმა მოიწონა სემინარიის საბჭოს ის გარდაწყვეტილება, რომ შენობის აგება მიენდოს კომისიას ნაფიც ვექილის ფრენკელის თავმჯდომარეობით და არა მოიჯარადრეს გარდაეცეს. ოსტროუმოვი ამ დღეებში აპირებს ტფილისიდან პეტერბურგში დაბრუნებას.

◆ როგორც გადმოგვცეს, კრწანისის ახლო, როდესაც პატიმარნი აგურხანაში მუშაობდნენ და მიწას იღებდნენ, აღმოჩენილა **ქვა-ნახშირი**.

◆ როგორც გავიგეთ, ტფილისის გუბერნატორს გადაუწყვეტია **ტფილისის რკინის გზის დეპოდან** მიმავალ გზებზე ფარნები დასდგან. რკინის გზის უფროსს დაუდგამს კიდეც გალკინის სისტემის ორი დიდი ფარანი, მაგრამ, რადგანაც რკინის გზის გადაღმაა ის ადგილები, სადაც ფარნებია, გზის უფროსს, უთხოვნია გუბერნატორისათვის, ამ ფარნების ხარჯი ქალაქის გამგეობას დაეკისროსო. გუბერნატორის წინადადება ამ საგნის შესახებ ქალაქის გამგეობამ განიხილა და აღმოჩნდა, რომ გამგეობას ამ ჟამად არა აქვს საჭირო ფული. ამას გარდა შეუძლებლად იცნო გზის უფროსის წინადადების მიღება, რადგანაც აღნიშნულ ადგილზე ფარნების გამართვა გამოწვეულია რკინის გზის საჭიროებით. ამის გამო გამგეობამ გადასწყვიტა შეატყობინოს გუბერნატორს, რომ გამგეობას არ შეუძლიან იკისროს ფარნების ხარჯი, და მოახსენოს, რომ ნაძალადევის განათების საქმეს ახლო მომავალში განიხილავს გამგეობა და თუ შესაძლებლად იცნო, ფარნების ხარჯსაც მაშინ იკისრებს.

◆ ქალაქის გამგეობა შესდგომია კიდეც **ტფილისში საშუალო სამრეწველო სასწავლებლის დაარსების** საქმეს. სასწავლებელი ფინანსთა სამინისტროს უნდა დაექვემდებაროს.

◆ ფინანსთა სამინისტროს მოუთხოვია ტფილისის გუბერნიის უფროსს საქარხნო ინსპექტორისაგან ცნობა იმის შესახებ, **რა ნაყოფი მოიტანა** საქარხნო ახალი დებულების შემოღებამაო.

◆ ამ ბოლოს დროს **ტფილისის მაზრაში ხელ-ახლა გაჩნდნენ ყაჩაღნი**. როგორც გვატყობინებენ, ტფილისის მაზრაში იმალებიან თურმე კატორგიდან გამოქცეულნი ბორჩალოელი და ყაზახელი თათრები: ძმანი ალიმაჰმედ და ალასკარ-ყურბან-ოღლები და ბაქირ-მაშადი-იზმაილ-ოღლი, რომელნიც თორმეტ-თორმეტის წლით კატორგაში იქმნენ გაგზავნილნი აღბულახში რუსების გაცარცვისა და მკვლელობისათვის. მეოთხე ყაჩაღიც ყაზახელია—აბდულ-ისმაილ-ოღლი. პოლიციას უკვე მიუგნია ყაჩაღთა ბინისათვის.

◆ ბორჩალოდან იტყობინებიან, რომ იქ თარეშობა დაუწყია **ავაზაკთა ბრბოს** ციმბირიდან გამოქცეულის გამიდის მეთაურობით. პოლიციამ ღონისძიება მიიღო მათ შესაპყრობად.

◆ როგორც გვატყობინებენ, ტფილისის მაზრაში წელს **კარგი მოსავალი იყო** პურისა და სხვა საპურე მცენარეულობისა. კარგი პირი უჩანს ვენახებსაც.

◆ **როგორც გურიიდან გვატყობინებენ**, 10 აგვისტოს, ღამით, წვიმა მოსულა და დიდი ზარალი მოუტანია. დ. ხიდისთავში თითქმის მთლად წაულეკია სახლები და დაუნგრევია დუქნები. დაუნგრევია აგრეთვე ხიდისთავის მშვენება ქვითკირის ხიდი, რომელიც საზოგადოებას 15 ათას მანეთზე მეტად დაუჯდა. წაუღია აგრეთვე მდ. ნატანების ხიდი, წისქვილები და სხვ. საბედნიეროდ, ამდენ ზარალთან კაცი არავინ უმსხვერპლია. ხიდისთავ-ნაგომრის მეეტლეთა ამხანაგობის მსვლელობა შეჩერებულია, რადგან ყველა ხიდები წაღებულია და გზები ღორღით სავსე.

◆ 1-ლ რაიონის ხმოსნების კანდიდატებად დასახელებულთაგან რამდენმამე **უარი განაცხადა**, ამიტომ ამომრჩეველთა კომიტეტმა უნდა შეავსოს სია და ენკენისთვის დამდეგს მოიწვიოს ამომრჩეველთა კერძო კრება საბოლოო სიის დასამტკიცებლად.

◆ კვირას, 25 აგვისტოს, მოხდება ქალაქის მესამე საარჩევანო ნაწილის **ამომრჩეველთა საზოგადო კრება** ხმოსანთა მომავალ არჩევნებისათვის კანდიდატთა საბოლოო სიის შესადგენად. კრება მოხდება დილის $10^{1}/_{2}$ საათზე ვეტცელის სასტუმროში.

◆ ტფილისის **სათავად-აზნაურო სკოლაში მისაღები ეგზამენები** დაიწყო გუშინ, 23 აგვისტოს. თავისუფალი ვაკანსია 57-ია პირველსა და მეორე მოსამზადებელ კლასებში. ეგზამენები დასრულდება 28 აგვისტოს და სწავლა დაიწყება ორშაბათს, 2 სექტემბერს.

◆ ამ ჟამადაც მოსკოვის აკადემიაში კურს დასრულებულ გიორგი ალექსანდრეს ძის ჭაპიშვილისათვის აკადემიის მთავრობას დაუვალებია **საკანდიდატო თხზულება** შემდეგს ტემაზე დასწეროს: „ქართველთა და სომეხთა ეკკლესიების ურთიერთობა“, ხოლო ყაზანის უნივერსიტეტში კურს-დასრულებულ ვლადიმერ ნიკოლოზის ძე ჩიხლაძისათვის: „საქართველოსა და რუსეთის ეკკლესიის ერთმანერთ შორის მიწერ-მოწერანი საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე და საეკკლესიო მოწყობილებანი საქართველოში“. აღნიშნულ პირთ ამ დღეებში ჩვენის ისტორიკოსებისათვის მიუმართავთ და უთხოვნიათ საჭირო მასალა.

◆ ჩვენი რკინის გზების სამმართველომ განიზრახა ზოგ ადგილას გზის ლიანდაგის გადატანა, ზოგგან მეორე ლიანდაგის გამართვა და სხვა. ამისათვის დასჭირდა ადგილების შეძენა და ამის შესახებ უმაღლესად ნაბრძანებია შეისყიდონ ადგილები—და რაც იმ ადგილებზე რამ იქნება—მეპატრონეთაგან: ა) „კასპის“ სადგურთან ახლო კარიერის გასაკეთებლად და ამ კარიერიდან სადგურამდე მისასვლელ გზისათვის; ბ) ფოთიდან მე-2 და მე-3 ვერსტზე გზის ასამაღლებლად; გ) ბათუმიდან მე-36 ვერსტზე და ტყიბულის ტოტის მე-26 ვერსტზე დამბების ასაგებად, დ) კუბ წყალისა და ამის სხვა ადგილს გადასაყვანად მე-199 ვერსტზე; ე) მთიან ადგილებში მე-251,252 და 279 ვერსტზე არხების გასაკეთებლად; ვ) ბორჯომის ტოტის მე-10—12 ვერსტზე მიხვეული ლიანდაგის გასასწორებლად; ზ) ასახვევ ლიანდაგებისა და ახალის დასაგებად შემდეგ სადგურებზე: „ჩაქვა“-სა, „შორაპან“-სა, „მარტოთუბან“-სა, „კასპ“-სა და „ქსან“-ში; წყალის გამოყვანისა და გაუმჯობესებისათვის შემდეგ სადგურებში: „გელათ“-სა, „სალიეთ“-სა „ქიათურა“-სა, „კასპ“-სა, „ტფლის“-სა, „სოღანლუხ“-სა, „სანდარ“-სა და „სადახლო“-ში; თ) შენობების ასაგებად შემდეგ სადგურებში: „რიონ“-სა, „შორაპან“-სა, „ბოსლევ“-სა და „ავჭალა“-ში, ბორჯომის მე-14 და 15 ვერსტებზე და უმთავრეს ლიანდაგის მე-131 ვერსტზე; წვიმის წყალის გზისათვის სადგურს „მიხაილოვო“-ში, პლატფორმის ასაგები ადგილი „რიონი“-ს სადგურზე და საქონლის შესანახ ადგილისათვის სადგურს „აჯამეთ“-ში; ზვავების ასაცდენად ბათუმის მხარეს მე-48—66 ვერსტებზე და ქიათურის გზაზე მე-7 ვერსტზე და რიონის ხიდის შესაკეთებლად.

◆ სახელმწიფო ქონებათა გამგეობა იმის ცდაშია, რაც შეიძლება მეტი შემოსავალი შეჰმატოს ხაზინას სახაზინო მიწების იჯარით გაცემით. სადაც კი ხელი მიუწვდება, ამის ცდას არ ჰზოგავს.

ზაქათალის მხარეს, სოფ. ბელოქანში ამ ჟამად სახელ-განთქმული ბაღია ჰაჯი-ისმაილ-ოღლისა. რომელი გამოფენა ყოფილა, რომ ჰაჯის პირველი საჩუქარი არ მიეღოს თავისს ბაღის ხილისათვის. ამ ბაღის ადგილები ამ 50 წლის წინად ჰაჯის მამას მიუღია საშვილი-შვილო საკუთრებად ხაზინისაგან, მაგრამ იმ პირობით, რომ გაუვალი ადგილები გაეწმინდა და ბაღი გაეშენებინა. მამისა და თვითონ ჰაჯის მეცადინეობით დღეს ეს ბაღი ძვირფასია მთელს ზაქათალის მხარეს. დიდი შრომა და ფული დაუდვია პატრონთ ამისათვის. თვით სამიწათ-მოქმედო სამინისტროს შუამდგომლობით ჰაჯის შრომა უმაღლესად დაჯილდოვებული იყო სამინისტროსაგან ოქროს მედალით.

დღეს სახელმწიფო ქონებათა გამგეობა ჰაჯის მფლობელობას უარს ჰყოფს და ამიტომ ჰაჯი-ისმაილ-ოღლიმ სასამართლოს მიჰმართა.

◆ **დაბლიდან (იმერეთი) გვწერენ**: „ცნ. ფურ.“-ს მკითხველებმა იციან, რომ 10 აგვისტოს ბოროტ-გამზრახველნი თავს დაესხნენ მღვ. ვ. გორგაძეს. თავს-დამსხმელთაგანი ორი—აბაშიძე და მიქელაძე—უკვე შეიპყრეს· გამოძიება სწარმოებს“.

◆ ამ დღეებში განჯაში გაიხსნება **სესსია სამხედრო სასამართლოსი**. სხვათა შორის, უნდა გაირჩეს საქმე კატორგიდან გამოქცეულის ქიაერიმ-მამედ-ოღლისა, რომელსაც კაცის გაძარცვა და მოკვლა ბრალდება.

◆ გამმიჯვნელთა პარტიამ დაასრულა **მდინარე დაბახანის** გამოკვლევა და წარუდგინა სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებულს მედვედევს თავისი პროექტი, თუ როგორ უნდა იქმნას განწესრიგებული დაბახანის წყალით სარგებლობა მემამულეთა და წავკისის გლეხთა შორის.

◆ ქალაქის დუქნებში ხორცით ვაჭრობას ხომ მთელი კომისია განაგებს. ამ კომისიამ დაადგინა, ქალაქმა მოიწვიოს ბეითალი განსაკუთრებით ამ დუქნებისათვის საქონლის ზედამხედველობა დაიჭიროსო და ჯამაგირიც უანგარიშეს ამ ბეითალს წელიწადში ას ოცი თუმანი. ერთ-ერთს ხმოსანს საბჭოსათვის მოსახსენებლად **განცხადება შეუტანია გამგეობაში**, რომ ამ საქმისათვის ცალკე ბეითალი სრულებით საჭირო არ არისო, რადგან ამის მოვალეობა ადვილად შეუძლია ქალაქის ეხლანდელ ბეითლებსაცაო, მით უფრო, თუ ცოტაოდენ გზის ხარჯსაც დაუნიშნავთო. სხვა არა იყოს, ქალაქის ნივთიერი ხელმოკლეობაც არ უნდა დავივიწყოთო.

◆ **„მამუკელები“ ჩივიან** ქალაქის გამგეობის წინაშე: ა) ქალაქის საძოვარ ადგილებში ავლაბრის მინდვრებში უთუოდ დანიშნეთ კარანტინი ამ ადგილებში საძოვრად მოგროვილ საქონლისათვისო და ბ) ჩვენს სოფელში არ გაატაროთ არც ქალაქისა და არც კერძო კაცთა საქონელი, სანამ საქონელი კარანტინს არ მოიხდისო. „მამუკელები“ იმიტომ სჩივიან ამას, რომ საქონელში ჭირია გავრცელებული, 40 სული საქონელი კიდეც დაუხოციათ. „მამუკელებს“ სამი ათასამდე სული საქონელი—ძროხა და ხარი—ჰყავთ და შიშში არიან ამათ საქონელსაც ჭირი არ დაერიოს.

ამასთანავე სთხოვენ გამგეობას, დაუყოვნებლივ დაავალეთ ბეითალს დაათვალიერონ მარტირუზოვისა, ოჰანეზოვისა, იაგიტოვისა, მურადოვისა და სხვათა საქონელი, რადგან ჩვენ სოფელზე მოერეკებიან თავიანთ საქონელსაო.

◆ 28 აგვისტოს დანიშნულია ტფილისის **მოქალაქეთა დეპუტატების კრება** სხვადასხვა საქმის განსახილველად. კრება მოხდება ქალაქის გამგეობის სადგომში, საღამოს 8 საათზე.

◆ დღეს, 24 აგვისტოსთვის ტფილისის ქალაქის გამგეობის სადგომში დანიშნულია ტფილისის ქალაქის გამგეობისა და საფინანსო კომისიის შეერთებული სხდომა, რომელზედაც უნდა განიხილონ ტფილისში გოგოლის ძეგლის დადგმის საქმე.

◆ ამ დღეებში საქალაქო სასანიტარო კომისიამ და პოლიციამ დაათვალიერეს რკინის გზის მომხმარებელთა საზოგადოების მაღაზია და ვეტცელის სასტუმროს სამზარეულო და, ზოგიერთ ანტისანიტარულ პირობათა აღმოჩენის გამო, ოქმები შეადგინეს.

◆ ტფილისის სასულიერო სემინარიის ახალ შენობის აგება ამას წინად დაევალა მოიჯარადრე იაკუბოვიჩს. იაკუბოვიჩმა პირობის პირნათლად შესრულების უზრუნველ საყოფელად წარუდგინა სემინარიის მთავრობას ბედ 12,000 მან. რადგანაც იაკუბოვიჩი პირობის დარღვევისათვის დათხოვნილ იქნება, ხელ-შეკრულებით ეს 12000 მან. სემინარიის სასარგებლოდ შეირიცხა. როგორც შევიტყეთ, იაკუბოვიჩს ოლქის სასამართლოსათვის მიუმართავს სარჩელით, რომ 12000 მან. ტყუილა გადამახდევინესო. იგი ამტკიცებს, პირობა არ დამირღვევიაო.

◆ ტფილისის საგუბერნიო სამმართველოს საამშენებლო განყოფილებამ შეატყობინა ქალაქის გამგეობას, რომ შეიძლება მუხრანის ბორანის მოიჯარადრეს ნება დაერთოს, ბორანი ამუშაოს, რადგანაც იგი კარგად შეუკეთებიაო.

◆ დიდუბელები სთხოვენ ქალაქის გამგეობას ქუჩების შეკეთებასა და უკეთ განათებას.

◆ „ნაძალადევი“-ს მცხოვრებლებმა ბევრი ემუდარეს ქალაქის გამგეობას, ქუჩები გაგვიკეთეთ და გაგვინათეთ, წყალიც გვადირსეთო, მაგრამ რა არა გაუგიათ-რა, ახლა ამავე თხოვნით გუბერნატორს მიჰმართეს, ძალა დაატანეთ ქალაქის გამგეობასაო.

◆ წყნეთის ქუჩაზე სოკოლოვის სახლში მცხოვრები სამსახურს გარეშე მყოფი ფერშალი მიხეილ ვასინი 21 აგვისტოს ისე ძალიან მთვრალი ყოფილა, რომ კარბოლის სიმჟავე დაულევია. ავადმყოფი მიხეილის სამკურნალოში გაუგზავნიათ.

შეცდომის გასწორება. გუშინდელ ნომრის „ახალ ამბებში“, პირველ გვერდზე, შეცდომა შეგვპარვია. დაბეჭდილია: ქიმიკოსი თავ. ნ. ა. ჩოლოყაშვილი „სახაზინო და საქველ-მოქმედო დაწესებულებათა განათებისათვის თხოულობს 0,6 კაპეიკისას, ხოლო კერძო სახლისა 0,8 კაპ. საათში“. უნდა იყოს: 00,6 და 00,8 კაპ.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ ბ-ნმა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორმა დაამტკიცა უძრავ მამულების დამფასებლად ვ. ი. პეტრიაშვილი, თ. ბ. ნანეიშვილი, თ. დ. წიქარიძე და მათ კანდიდატად მ. ო. ჩინჩალაძე. ამ დღეებში დამფასებელი კომისია, სამ ჯგუფად გაყოფილი, შეუდგება მამულების დაფასებას. მთავრობის მხრივ კომისიაში დანიშნულია საგანგებო მინდობილებათა მოხელე ბ. ზუბოვი.

რუსეთის ქრონიკა

◆ მომავალ წელს პეტერბურგში გაიმართება საერთაშორისო საელქტრონო გამოფენა. საორგანიზაციო კომიტეტი მალე მუშაობასაც შეუდგება.

◆ ხუთი წელიწადია, რაც სრულიად რუსეთის აღწერა მოხდა და მხოლოდ ეხლა გამოაქვეყნეს ზოგიერთი ცნობები, ამ აღწერის დროს შეკრებილი. მოგვყავს ქალაქებისა და იქ მცხოვრებთა რაოდენობა. მთელს იმპერიაში 118 ქალაქია, სადაც 20-დან 50-ათასი მცხოვრებია. ამას გარდა

33 ქალაქი	50—75 ათასი
5 . „	75—100 „
6 . „	100—125 „
2 . „	125—150 „
4 . „	150—200 „
7 . „	200 ათას და მეტი.

◆ რადგანაც რკინის გზებზე წლითი-წლობით იზრდება საქმე და მუშაობა, გზათა სამინისტრომ საჭიროდ სცნო შეუკვეთოს და დაურიგოს პირველ ხანს ზოგიერთ სახელმწიფო რკინის გზას ისეთი მატარებლები, რომელთაც საათში 60 ვერსის გავლა შეეძლოთ.

პრესსა

რომელ ენაზე უნდა სწარმოებდეს სწავლა არა რუსთა პირველ-დაწყებით სკოლაში? ამაზე ყოველი ნამდვილი პედაგოგი ერთსა და იმავე პასუხს იძლევა: დედა-ენაზეო. მიუხედავად ამ საერთო აზრისა, მიუხედავად მეცნიერების მოთხოვნილებისა და პრაქტიკულის გამოცდილებისა, ეს საქმე საბოლოოდ არ არის გადაწყვეტილი საყურადღებოა, რომ ეს საკითხი რუსეთში მე-60 წლებში აღძრულა და დედა-ენის სასარგებლოდ გადაწყვეტილა. ამის შესახებ საინტერესო წერილია დაბეჭდილი „მისსიონერსკ. ობოზრ.“-ის ივლისს-აგვისტოს №-ში. წერილის ავტორი ბ-ნი იზნოსკოვი მოგვითხრობს:

> ყაზანის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის პ. დ. შესტაკოვის წერილი, რომელშიაც იგი სწავლების საქმეს სამშობლო ენის სასარგებლოდ სწყვეტდა, ასეთივე წერილები ილინსკისა და ზოლოტინსკისა, მიზეზად გაჰხდნენ იმისა, რომ საქმე სისტემის შესახებ (რა სისტემა უნდა იქმნას მიღებული არა რუსთათვის სკოლების დაარსების დროს) საერო განათლების სამინისტრომ გადასცა განსახილველად ჟურნალ-გაზეთებს, ადგილობრივ სამოსწავლო საბჭოებს და საერობო კრებებს. ყოველივე ამ საქმის შესახები: წერილები, იმ შვიდ გუბერნიის სამოსწავლო საბჭოების აზრი, სადაც არა რუსნი სცხოვრობენ, იმ კერძო კაცთა აზრი, რომელთაც ეს საქმე ეინტერესებოდათ, აგრეთვე ოფიციალური ცნობები და ქაღალდები, მოთავსებულ იქმნა 1869 წელს საერო განათლების სამინისტროს მიერ გამოცემულ ცალკე კრებულში; ხოლო შემდეგ 1870 წელს 26 მარტს იმავე სამინისტროს მიერ გამოცემულ იქმნა „წესები არა რუსსთა სწავლა-განათლების საშუალებათა შესახებ“. ამ წესების პირველ ნაწილში ლაპარაკი არა რუს-ქრისტიანებზეა, მეორე ნაწილში—ყირგიზებსა და თათარ-მაჰმადიანებზე. ამ წესებში აღნიშნული იყო, რომ სკოლამ დასახელებულ ქრისტიანეთ უნდა შესძინოს სასულიერო და ზნეობრივი განათლება, განამტკიცოს მათ შორის მართლ-მადიდებელი ქრისტიანობა და გააცნოს იმათ რუსული ენა. პირველ-დაწყებით სწავლის იარაღად ყველა ტომისათვის თვითვეულის სამშობლო ენაა აღიარებული. მასწავლებლებად დანიშნულ უნდა იქმნან ტომთა შვილნივე, რუსულის ენის მცოდნენი, ან ისეთი რუსნი, რომელთაც ხალხის ენა იციან. გამოცხადებულია აგრეთვე, ყურადღება მიექცეს ქალთა განათლებასაც,

რადგანაც ამა თუ იმ ერის ენა-კილოსა და ეროვნულ თვისებებს უმთავრესად დედები იცავენ და უფრთხილდებიან. წესებში საჭიროდ არის ცნობილი, რომ ნაკლებად გარუსებულ და რუსულ ენის თითქმის არ მცოდნე ბავშვთათვის დაარსდეს ისეთი სკოლები, სადაც პირველ-დაწყებითი სწავლა თავიანთ ენაზე უნდა იყოს; სამშობლო ენა ამ ენაზედვე შედგენილ სასწავლო წიგნებით უნდა შეისწავლონ. ამ წიგნებში მოთავსებული უნდა იყოს ან-ბანი, საჭირო ლოცვები, პატარა ამბები ძველსა და ახალ აღთქმიდან და სხვა სასულიერო წიგნებიდან. რათა გაუადვილდეს ბავშვებს სამშობლო ენიდან რუსულზე გადასვლა, უნდა დაიბეჭდოს ადგილობრივს ენაზედ წიგნები რუსულის ასოებით. ამავე დროს ბავშვებს საკუთარ ენის საშუალებით უნდა ასწავლონ რუსული სალაპარაკო ენა, ხოლო როდესაც საკმაო სიტყვებს შეითვისებენ, ასწავლონ წერა-კითხვაც.

„კვალის“ ოხუნჯებს .

წასრულ კვირას გაზ. „კვალმა“ შენიშვნები დაუწერა ერთს ჩვენს წერილს („სომხობა და ქართ. მწერ.“ ცნ. ფ. № 1897). ვიცით, რომ ზოგიერთა კვალისტები თუმცა პრინციპიალურად აღიარებენ ეროვნულს პრინციპს, მაგრამ ხანდახან ისეთი დასკვნა გამოჰყავთ ამ პრინციპიდან, რომელიც სრულიად სპობს ეროვნების მნიშვნელობას. მათ არ მოსწონთ ჩვენი აზრი, რომ ყველა კლასს და წოდებას, ყველა წევრს ერისას—იქნება იგი ბურჟუა თუ მუშა, აზნაური თუ გლეხი—აქვს საერთო, ეროვნული ინტერესი.

ჩვენ არას ვამბობთ „კვალის“ უადგილო შენიშვნების გამო ამ საგნის შესახებ. უფრო საყურადღებოა შემდეგი შენიშვნა, საყურადღებოა ზნეობრივის მხრით. ზემოდ დასახელებულ წერილში, სხვათა შორის, ვამბობდით: „ქართველებს შეგვიძლია ყოველთვის მივმართოთ სომხების ზნეობას და **მოვთხოვოთ** სამართლიანობა და არა მარტო კანონიერება“. როდესაც მოპირდაპირე პარტიები ერთმანეთის წინაამდეგ დგანან, მათ ყოველთვის აქვთ ერთმანეთისადმი მოთხოვნილება, ერთი მეორისაგან რასმე მოითხოვს (და არა ითხოვს!) ან ორივე ერთმანეთისაგან. სადაც არ არის ასეთი მოთხოვნა, იქ არ არის არც რაიმე პროგრამა, არც ბრძოლა. ცხადია ისიც, რომ არიან ისეთი სომხები, რომლებიც საქალაქო არჩევნების დროს არ ხელმძღვანელობენ მარტო იმით: ქართველებს ცენზი არა აქვთ, ამიტომ უნდა გავაშავოთო; ისინი ქართველ-სომხების ერთობის საჭიროებასაც და სამართლიანობასაც მიიღებენ მხედველობაში. სომხების და ქართველების ურთიერთობას მარტო ტფილისის არჩევნები არ შეადგენს, და სომხისათვის ხელსაყრელი არ არის, რომ ქართველები დაამარცხოს ტფილისის საბჭოში. იგივე უნდა ვსთქვათ ქართველებზე: მათთვისაც მავნებელი იქმნება, რომ შეიძლონ და ვისმე დახმარებით სომხები განდევნონ ტფილისის საბჭოდან. სომხები და ქართველები უფრო ვრცლად უნდა უყურებდნენ თავიანთ ურთიერთობას, მათ არასოდეს არ უნდა დაავიწყდეთ, რომ ერთობა მაშინ იქნება მათ შორის, როდესაც სამართლიანობის გზას დაადგებიან. და საზოგადოდ განვითარება სხვა რა არის, თუ არა ის, რომ ადამიანთა დღ ერთა შორის გარდა იურიდიულ (ხშირად უსამართლოს) ნორმებისა დამყარდეს რაც შეიძლება მეტი და მეტი სამართლიანობა? რომ ნაცვლათ სტიქიურ, პირუტყვულ უაზრო ბრძოლისა დამყარდეს ადამიანური, გონიერი ბრძოლა?

ბ-ნთ. „კვალის“ თანამშრომლებს ახირებულათ გადაუმახინჯებიათ ჩვენი აზრი და თავის მკითხველებს აუწყებენ, ვითომც ჩვენ უარ ვყოფდეთ ბრძოლას (!!) და ვქადაგობდეთ: ვთხოვოთ სომხებს, ვემუდაროთ, შევეხვეწოთ, შევლაღადოთ, თავი შევაბრალოთ, რომ ხმოსნებათ ამოგვირჩიონ! არ ვიცით, რა ვუწოდოთ ასე სხვისი აზრის დამახინჯებას! ან ეგებ ბ-ნთ. კვალელებმა ვერ წაიკითხეს ქართულათ დაწერილი, რომ „მოვთხოვოთ“ და „ვიითხოვდ“ ერთი და იგივე არ არის, რომ მოთხოვა უდრის რუსულს требовать-ს და თხოვა—просить-ს?

სწორედ სრული ზნეობრივი უფლება გვაქვს, მეტი ლიტერატურული ზრდილობა მოვთხოვოთ „კვალის“ დღევანდელს გამგეთ.

გბდამი

უცნაური პირობანი

ტფილისში, რკინის გზის ლიანდაგის გადაღმა, ნემეცების სასაფლაოსთან, მდებარეობს ეგრედ წოდებული „ჩუღურეთის საკარაკო ადგილები“, რომელიც ეკუთვნის ეკატერინე ნადიროვისას და მიხეილ და ნინო ლოლუხანოვებს. ეს ადგილები უფრო ხევ-ხუვებია; სივრცით 700 დესეტინა იქმნება. ამ ცარიელ ადგილზე ეს ორი სამი წელიწადია დიდის გაჭირვებით ქოხები აიშენეს ტფილისის ღარიბმა მუშა-ხელოსნებმა. ამჟამად ორმოციოდე სახლის პატრონია იქ და, თითო ოროლა რუსის გარდა, ყველანი ქართველები არიან.

ადგილის პატრონებმა წაახალისეს და მუშებმაც წელიდან ქამრები შემოიხსნეს, სამკაული, რაც კი რამ გააჩნდათ, დაჰყიდეს, ზოგიერთებმა ვალიც კი აიღეს და, როგორც იქმნა, სხვის ადგილზე თავ-შესაფარი სახლ-კარი აიშენეს. წაახალისა ადგილის პატრონებისაგან მიცემულმა „პატიოსანმა სიტყვამ“. ოღონდ დასახლდით, სახლკარი აიშენეთ, ბაღნა-ბოსტნები გააშენეთ, მოაგორა და ხევ-ხუვი გადაასწორეთ და ადგილის ქირას მცირეს გამოგართმევთო; ყოველ ოთხ-კუთხ საჟენზე 40 კაპეიკს წელიწადში ე. ი. 100 საჟენზე 40 მანეთსაო.

აშენდა უბანი, შემოიზღუდა ეზოები, ჩაიყარა ხეხილი, იწყო ცხოვრებამ დუღილი; კლდე-დრეოღრო-ჩოღრო მიწები ადგილები მისწორ-მოსწორდა, ზურგით ნაზიდის წყლით ბოსტან-ბაღნა აღაყვავა მაშვრალთა ოფლმა, დღე და ღამ დაუღალავმა შრომამ, საშავ-დღეოდ გამოზოგილმა გროშებმა უდაბური ადგილი დედა ქალაქის კუთხედ გარდააქცია. ერთის სიტყვით, დადგა დრო პირობის დადებისა და აი სწორედ აქ გამოიჩინეს ოსტატობა მამულის პატრონებმა.

რათა საუბარი არ გაგრძელდეს, აქ იმ პირობის ორად-ორს მუხლს მოვიყვან. დარწმუნებული ვარ, რომ მკითხველი ამ ორის მუხლიდანაც აშკარად დაინახავს, რა ბადეში ეხვევიან საბრალო მოიჯარადრეები. აი ასეთი აზრია ერთ მუხლში გატარებული: მემამულენი (ნადიროვისა და ლოლუხანოვები) მოიჯარადრეებს აძლევენ იჯარით ცარიელ ადგილებს 5 წლის ვადით; მოიჯარადრეებმა სახლ-კარი უნდა აიშენონ და ეზოები შემოიზღუდონ საკუთარის ხარჯით და ყოველ ოთხკუთხ საჟენში საიჯაროდ აძლიონ წელიწადში 40 კაპეიკი. 5 წლის შემდეგ, „თუ მემამულენი მოისურვებენ“, უნდა განაახლონ იჯარა სამჯერ კიდევ—ხუთ-ხუთის წლით. პირველის ხუთის წლის იჯარა თუ 40 კაპეიკია საჟენზე, მეორე ხუთის წლისა იქმნება 60 კ., მესამე—80 კ. და მეოთხე—1 მანეთი, ე. ი. ყოველ ხუთის წლის შემდეგ საჟენზე 20 კ. ემატება.

ვთქვათ, მოიჯარადრემ აიღო 100 საჟენი, უნდა იხადოს:

პირველ	5	წელს წელიწ.	40 მან.	სულ	200 მ.
მეორე	5	„	60	„	300 „
მესამე	5	„	80	„	400 „
მეოთხე	5	„	100	„	500 „
სულ 20 წელიწადში					1400 მანეთი.

შემდეგი ამ პირობისა: სახლ-კარი უნდა მოაწყო; ფული ჩაჰყარო, ადგილის ქირა 100 ოთხკუთ საჟენში 1400 მანეთი გადიხადო და 20 წლის შემდეგ სახლი ისევ დაანგრიო, და დარჩე უფულოდ და უსახლკაროდ!

მეორე მუხლი კიდევ აი რას გვეუბნება: მოიჯარადრემ, ვთქვათ, დღეს სახლ-კარი აიშენა, ხვალ კი მემამულემ გაჰყიდა ადგილი. მოიჯარადრეს ეძლევა 3 თვის ვადა (კაი შეღავათია!), რომლის განმავლობაშიაც სახლი უნდა დაანგრიოს და გუდა-ნაბადი აიკიდოს—იჯარის პირობა ირღვევა.

ამ ორის მუხლის შემდეგ საჭიროდ აღარ მიმაჩნია სხვებიც ჩამოვთვალო- აქედანაც აშკარად სჩანს, რა ქსელში ებმებიან მოიჯარადარნი.

სანუგეშოდ უნდა ვაუწყოთ მკითხველებს, რომ მოიჯარადრე—სახლის პატრონნი, მახეში გაბმის შიშით, პირობაზე ჯერ არ აწერენ ხელს. სასურველია, მოიჯარადრენი ფრთხილად მოიქცნენ, თორემ მართლაც ისეთ ეშმაკის მახეში გაებმებიან, რომლიდანაც თავის დახწევა შემდეგში ძნელი-და იქმნება. მემამულენი მოვალენი არიან თავიანთი დანაპირი შეასრულონ. ამას მოითხოვს კანონიც და სინიდისიც. წინააღმდეგ შემთხვევაში, მემამულენი ტყუილ-უბრალოდ ხალხს მოიძულებენ, აალაპარაკებენ და „ბევრის მდომელნი ცოტასაც დაჰკარგავენ.“

ნადიროვისას და ლოლუხანოვებს, როგორც ვსთქვით, 700 დესეტინა მიწა აქვთ. და რაც უნდა მცირე საიჯარო ფასი დაადონ, შემოსავალი ამ მამულიდან მაინც დიდი იქმნება. საიჯარო ფასის დაკლებისა და სხვა შეღავათის გარდა, საჭიროა მემამულეებმა ცოტაოდენი ფულიც დაახარჯონ: გზები გაჰმართონ, წყალი გაიყვანონ, გაასუფთაონ და სხვა.

მსურველნი დასახლებისა, როგორც გავიგეთ, ბევრია, მაგრამ ყველანი ჩამოთვლილს პირობებს უფრთხიან და ერიდებიან.

გ. თოიძე.

დაბა-სოფლები

ველისციხე (კახეთი). სწორედ იმ დროს შევიტყვეთ ქართულის თეატრის დედა-ბოძისა და მწერლის აგ. ცაგარლის უდროოდ გარდაცვალება, როდესაც იმის პიესებს „ბაიყუშსა“ და „ჭკუისა მჭირს“ ადგენდნენ ადგილობრივი სცენის მოყვარენი. წარმოდგენა ველისციხის საავადმყოფოს სასარგებლოდ იყო.

შემოსავლით წამალი უნდა იყიდონ და დაურიგონ შეუძლებელ გლეხებს, ქვრივ-ობლებს, რომელთაც სახსარი არა აქვთ წამლის ყიდვისა.— წარმოდგენის შემდეგ გაიმართა საერო ვახშამი, რომელსაც დაესწრო ასამდე ქალი და კაცი. ვახშმის დაწყებისას წარმოსთქვა მოკლე სიტყვა ბ-ნმა აჯამამულოვმა (რეჟისორად იყო მოწვეული თელავიდან). სხვათა შორის განაცხადა: „დღეს სწორედ წარმოდგენის დაწყებისას გაზეთების საშუალებით გავიგეთ ქართულის თეატრის დედაბოძის ა. ცაგარლის გარდაცვალება. რადგანაც ეს სამწუხარო ამბავი დროზედ ვერ შევიტყვეთ, წარმოდგენა ვერ გადავდეთ: საზოგადოება სხვა და სხვა სოფლიდან იყო მოსული და მოუხერხებლად ვცანით, დაწყებული საქმე შეგვეჩერებინა. ამისათვის აქაური სცენის მოყვარენი ბოდიშს იხდიან, რომ დღევანდელ დღეს წარმოდგენა გამართეს და სთხოვენ საზოგადოებას, ფეხზე ადგომით პატივი სცენ გარდაცვალებულის ხსოვნას. საზოგადოებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა.

დიდის მადლობის ღირსნი არიან, როგორც წარმოდგენის გამგენი თავ. ნ. ა. ჯანდიერი და მ. ი. ქალანთაროვი, ისე ქ-ნნი ჯანდიერისა, სარაჯიშვილისა, გოზალოვისა და მიკირტუმოვისა, ბ-ნნი ჯანდიერი, ტერ-მოსესოვი, ბაირამოვი, გედევანიშვილი, ქალანთაროვი, ოგანოვები და სხვანი, ვინც მონაწილეობა მიიღეს წარმოდგენაში და აგრეთვე ბ-ნი აჯამამულოვი, რომელიც თელავიდან მოვიდა და მოამზადა სცენის მოყვარენი. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა და საზოგადოებაც ნასიამოვნები დაბრუნდა სოფლებში.

ზემოხსენებულ პირებსავე განუზრახავთ დაარსონ ხახალხო სამკითხველო და წიგნთ-საცავი. ვისურვებთ, რომ მათი განზრახვა განხორციელებულიყოს.

აქაური

სოფ. ქაქუთი (გურია). ქაქუთი მდებარეობს ლიხაურის საზოგადოებაში. ლიხაურის საზოგადოება კი გურიის განაპირა ადგილია, რომელსაც ზედ აკრავს ქართველ მაჰმადიანთა სოფლები. თვით სოფელი ქაქუთიც უმთავრესად დასახლებულია ქართველ მაჰმადიანებით, რომელთაც ძლიერ მჭიდრო დამოკიდებულება აქვთ ლიხაურელებთან. ენით, ზნითა და ჩვეულებით ქაქუთლებსა და ლიხაურელებს ვერც-კი გაარჩევთ. ტანისამოსიც ერთნაირი იციან, ძველი გურული „კვარტუა“ (ჩაქური). წმ. გიორგის შესაწირავი ქაქუთლებმა მართლ-მადიდებლებსავით იციან, ოღონდ ეკკლესიაში არ დადიან.

1891 წელს ადგილობრივის მღვდლის გიორგი კონტრიძის ვაჟმა რაჟდენმა, მამის დახმარებით, ქაქუთში გამართა სამრევლო სკოლა. სკოლაში შემსვლელთათვის არავითარი სასყიდელი არ იყო დადგენილი, მაგრამ ქაქუთელმა მამადიანებმა მაინც ეჭვის თვალით დაუწყეს სკოლას ცქერა. ასე წარმოიდგინეთ, სასყიდელს შეგირდის მამა თხოულობდა. ამას ხელს უწყობდნენ ადგილობრივი ფანატიკი ხოჯები, რომელნიც ცოდვად სთვლიდნენ ქრისტიან ბავშვებთან მაჰმადიანთა გარევას, მაგრამ მასწავლებლის უანგარო შრომამ უნაყოფოდ არ ჩაიარა—სკოლამ თან-დათან სახელი გაიკეთა და მალე ქრისტიანებთან ერთად „ფესვიანი მაჰმადიანებიც“ გამოერია. მასწავლებელი იმათ უფასოდ აძლევდა სასწავლო ნივთებს და, ასე წარმოიდგინეთ, ტანისამოსსაც კი. 1895 წელს სკოლას უბედურება ეწვია: ვიღაცას უკეთურმა მარცხენამ სკოლის შენობა სულ ერთიანად გადაბუგა. მაგრამ მასწავლებელმა მაინც არ აიღო ხელი სკოლაზე. გული არ გატეხა და საზოგადოების მცირე შემონაწირით და მამის დახმარებით სკოლა ისევ ააგო და სწავლა ისევ გააჩაღა.

1896 წელს სოფლის არჩეულმა კაცებმა შეამოწმეს, მასწავლებელს სკოლა რა დაჯდომია მისი დაარსების დღიდან. აღმოჩნდა, რომ, გარდა მასწავლებლის პირადის შრომისა, სკოლაზე დახარჯვია ფულად 712 მ. 45 კ. ასე ამ რიგად ამ პატარა კაცმა ეს დიდი საქმე აცოცხლა თავის ხარჯით 1900 წლის პირველ სექტემბრამდე. ამ დროიდან კი, რაკი ქაქუთის სკოლის ნაყოფი ყველასათვის აშკარა შეიქნა, სკოლის მომავალი ხარჯი (სკოლის შენობა და მასწავლებლის ჯამაგირი 400 მ.) მიიღო კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელმა საზოგადოებამ. ამ საქმის მოგვარებაზე დიდი შრომა მიუძღვის იმავე საზოგადოების ინსპექტორს ბ-ნ ეგ. ბ. მამინაიშვილს.

წელს ამ სოფელში ერთი ქართველი მაჰმადიანი შემოუერთდა მართლ-მადიდებელ ეკკლესიას. ამ სკოლაში სწავლა დაამთავრა მურად გოსხაპეიშვილმა (ძველად კვირკველია). სკოლის დამთავრების შემდეგ გოსხაპეიშვილი კიდევ სწავლობდა კერძოდ მასწავლებელთან, შემდეგ მან გახსნა სკოლის გვერდზე სავაჭრო. წელს, ზაფხულს ყოვლად სამღვდელო ალექსანდრემ ეს გოსხაპეიშვილი მართლ-მადიდებელ ეკკლესიას შემოუერთა მიხ. კვირკველიას სახელით. მისი მონათვლა ძლიერ საწყენად დაურჩათ მოხუც მაჰმადიანებს. ერთს კვირაში საცოდავს გადაუწვეს დუქანი. ამას გარდა სხვა სამწუხარო შედეგიც მოჰყვა მონათვლას—სკოლიდან გაიყვანეს რვა მოსწავლე ქართველი მაჰმადიანი.

ონი (რაჭა). მიწის ძვრა ისე გახშირებული აქ, რომ ხალხი დაშინდა; ბევრი მოჰშორდა კიდეც ამ არე-მარეს. თუ ძვრა არ დასცხრა, მგონი ყველანი გაიკრიფებიან. ისე კვირა არ გაივლის, რომ მიწა არ იძრეს. 6 აგვისტოს, ფერისცვალობა დღეს, დილით 7—8 ჯერ იძრა მიწა. უბედურება არაფერი მომხდარა, მაგრამ ისე შეატოკა სახლები, რომ პატრონნი სულ გარედ გარბოდნენ, ჰფიქრობდნენ, ახლა კი დაიქცა ონიო.

ქვის შენობები უმეტეს ნაწილად დაირღვა. ეკკლესია ისე დამსკდარი, რომ უშიშრად მღვდელს არ შეუძლიან წირვა. მხოლოდ ონის მახლობლად ს. მოედანში გადარჩა უვნებელი ქვითკირის ეკკლესია, სადაც ეხლა აქაური მცხოვრებნი დაიარებიან.

რაჭა, ეს ღვინით ნაქები მაზრა, ორი-სამი წელიწადია, რაც ღვინის მოსავლით ძლიერ კოჭლობს. წლეულსაც ის ბედი გვეწია, რაც შარშან და შარშანწინ. სეტყვამ ძალიან დააზარალა ვენახები. ყველგან ამას გაიძახიან: იმედი აღარა მაქვს ღვინის მოსავლისა და აღარც მოვლილი ვენახისაო. დიდმა წვიმიანობამ გზები წაახდინა.

ს. გუგავა

თეატრი

ლაილაში (ლეჩხუმი). ექვს აგვისტოს სცენის მოყვარეთ ლაილაშში წარმოდგენა გამართეს. დასდგეს „ჭკუისა მჭირს“, ცაგარლისა და „მინდა კნეინად გავხდე“, ანტონოვისა.

წარმოდგენას დიდ-ძალი ხალხი დაესწრო; იყვნენ როგორც ადგილობრივი ვაჭარნი, ისე საკარაკოდ მოსულნი. ხარჯს გარდა დარჩა რვა თუმანი, რომელიც გაყოფილ იქმნა სამ ნაწილად: ერთი ნაწილი გადადებულია ლაილაშის მომავალ სამკითხველოსთვის, დანარჩენი ორი უნდა მიეცეს ორ ღარიბ სტუდენტს.

წარმოდგენის ინიციატორები იყვნენ კნ. ბაბილინა დადეშქელიანისა და ივანე ჯაფარიძე. იმედია, ზაფხულობით კიდევ ბევრჯელ გამართავენ წარმოდგენას.

წარმოდგენამ ძლიერ კარგად ჩაიარა, მაგრამ საზოგადოება უფრო აღტაცებაში მოიყვანა სიმღერებმა. მგალობელთა გუნდმა საუცხოვოდ შეასრულა ხალხური სიმღერები.

ორ-სოფლელი.

წერილი ცხინვალიდან

უბედურებანი.—წარმოდგენები.

წრეულს რამდენიმე უბედურება ეწვია ჩვენს ბუნებით შემკულ ცხინვალის ხეობას და ნამეტნავად ცხინვალს. ჯერ იყო და 9 და 14 აპრილს ისეთი რთვილი გამოაკლდო, რომ ძალიან დააზარალა ვენახები და უფრო მომეტებულად ხეხილი. არავინ მოსწრებია, რომ ასე დაერთვილოს ჩვენი მხარე.

მეორე უბედურება, რომლის მსგავსი არასოდეს ცხინვალში არ მომხდარა და რომელიც მკითხველებსაც მოეხსენებათ—იყო თითქმის ნახევარი ცხინვალის გადაწვა. მადლობა ღმერთს, რომ ღამე არ იყო, თორემ მთელი ცხინვალი გადაიწვოდა და ბევრსაც იმსხვერპლებდა. კაცი ვერ ასწერს იმ საშინელებას, იმ შემაძრწუნებელ წო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიჟ-კივილს დიდ-და-პატარისას, ქალების და კაცებისას, იმ ტანჯვა-მწუხარებას, რომელიც გაისმოდა ყოველ სახლიდან. ებრაელების უბნის გარდა, ოც-და-სამის ქართველის სახლიც გადაიწვა. ბევრნი, რომელნიც წინა დღით მდიდრად ითვლებოდნენ, ერთბაშათ დაღარიბდნენ და ქვეყნის სარჩენი შეიქმნენ.

ეს არ აკმარა საწყალ ცხინვალელებს ბუნებამ. ოთხს ამ თვეს მოვიდა საშინელი ავდარი სეტყვით. ნიაღვარმა იმსხვერპლა რამდენიმე სახლი და ვენახი. ქუჩებში გავლა არ შეიძლებოდა, ისეთი ხევები მოდიოდნენ. მომეტებული სარდაფების აივსო წყლით, ბევრს ავეჯი გაუფუჭდა, ბევრს ღვინო, ბევრს ჭირნახული დასტაცა კალოდან და სხ.

გადამწვართა სასარგებლოდ 10 ამ თვეს კნეინა ელისაბედ ივანეს ასულის მაჩაბლისა და ადგილობრივ მომრიგებელ მოსამართლის მეუღლის თაოსნობით გაიმართა მეორედ წარმოდგენა ცეკვა-თამაშით. წარმოადგინეს ქართულად ორ-მოქმედებიანი ვოდევილი „დროებით სიყვარული". მონაწილეობას იღებდნენ ქქ.-ბ. ს. ი. სულხანოვისა, ქ. ნ. იარალოვისა ს. ი. მაჩაბელი, გ. თ. მაჩაბელი და ი. ს. მაჩაბელი. ყველამ საუცხოვოდ შეასრულა თავისი როლი. მერმე წარმოადგინეს რუსულად ვოდევილი—ფარსი „Синяя борода." თამაშობდნენ კნ. ნ. და მ. პ. ბარათაშვილნი; კნ. თ. გ. მაჩაბლისა, ი. ა. მაჩაბელი გ. ი. პაპიევი და ბ. კარპოვი. ამათაც კარგად ჩაატარეს პიესა. ქალებს მიართვეს მშვენიერი თაიგულები. ანტრაქტებში უკრავდა სამხედრო მუსიკა, გამოწერილი გორიდან. წარმოდგენის შემდეგ გაიმართა ევროპიული ცეკვა და ლეკური.

ცხინვალელი.

წერილი ოზურგეთიდან

წლევანდელი მოსავალი.—ნიაღვარი.—სამკითხველო და ქუჩა

ქალაქ ოზურგეთის გარშემო მდებარე სოფლებში წელს ყურძნისა და სიმინდის მოსავალი შარშანდელზე უკეთესია ჯერ-ჯერობით, თუ რამემ ხელი არ შეუშალა და ამის შემდეგ არ წაახდინა. შეიძლება ამიტომ სიმინდი გაიაფდეს; ამ ჟამად ფუთი მანეთია. ყველა ღმერთს ევედრებოდა, რომ ერთხელ მაინც წვიმა მოსულიყო. 19 აგვისტოს, ღამის 9 საათზე, დაასხა კოკისპირულმა წვიმამ, მაგრამ ისა სჯობდა, სულ არ გაწვიმებულიყო: პატარა ღელეები დიდ მდინარეებად გარდაიქცნენ, კალაპოტიდან გადმოვიდნენ და დიდი ზარალი მიაყენეს სოფლებს. ბევრგან წყალმა მიიტაცა დიდძალი ხის შენობა: წისქვილები, ბეღლები და სხვა. სადგურ „ნატანებსა" და ოზურგეთს შუა შესწყდა ეტლთა სიარული ოთხ-ხუთის დღით. დილით ოზურგეთიდან წასული ეტლები უკანვე დაბრუნდნენ მგზავრებით, რადგანაც ნატანების გზის უმთავრესი ხიდი წყალს წაეღო. არც ფოსტა მოდის. ბევრი მოსწავლეა საეგზამენოდ წასასვლელი სხვა-და-სხვა ქალაქში, მაგრამ უგზოობისა გამო ვერ მიდის.

ეხლა ჩვენ სამკითხველოშიაც შევიხედოთ. იგი მოთავსებულია ერთ უხეირო დუქანში. სწორედ ამიტომ ისეთი წყალი იდგა შიგა, რომ მსურველს შესასვლელად ფეხი უნდა გაეხადა. გაზეთები და წიგნები დასველდა და დაისვარა. თუ სამკითხველოს უკეთეს ადგილას გადატანა არ ხერხდება, ცოტა შეაკეთონ მაინც, თორემ ორი-სამი წიგნი აქვთ და ისიც გახრწნება.

ქალაქ ოზურგეთში არის „ნაკაშიძის ქუჩა", რომლის გაკეთებას ვერ ვეღირსეთ და ვერა. რამდენჯერმე მოინდომეს მცხოვრებთ გაკეთება, მაგრამ საქმეს მაინც ვერაფერი ეშველა. კარგი დარები რომ დადგეს, ერთ თვეს წვიმის შემდეგ ის ქუჩა მაინც ტალახიანია. გავლა ეტლსა და ურემსაც უჭირდება. საჭიროა ქალაქის „მამებმა" ყურადღება მიაქციონ ამ ქუჩას.

სერგო ყორყოლიანი

წერილი რედაქციის მიმართ

ქ. ფოთის ქართველმა საზოგადოებამ, გაიგო რა ნიჭიერის დრამატურგის ავქსენტი ცაგარლის უდროოდ გარდაცვალება, გარდასწყვიტა, დაკრძალვაზე დასასწრებლად გაეგზავნა თვისი წარმომადგენელი, რომელსაც გვირგვინით უნდა შეემკო განსვენებულის კუბო. ამ საქმისათვის საჭირო ფული ხელის მოწერით შეაგროვა, მაგრამ „ცნობის ფურცლის" № მე-1896 ნომერში მოთავსებულ განცხადების თანახმად, ეს გარდაწყვეტილება შესცვალა და ფულს გზავნით ეხლა განსვენებულ ა. ცაგარლის ფონდისთვის.

შემომწირველთა სია: ორ-ორი მანეთი: კ. მიქაბერიძე, ი. ფანცხავა და გ. საბახტარიშვილი. თითო მანეთი: ბ. მოსეშვილი, ლ. ტუღუში, გ. თოხაძე, ნ. ქლენტი, მ. ნადირაძე, თ. დ. ყიფიანი, ჭავჭავაძე. ბ. საბახტარიშვილი, ს. ურუშაძე, გ. დადია, ა. ბაბაბალუა, გ. მარგალიტაძე, ლ. ყრუაშვილი, ქ. ხუმარაძე, რ. რუხაძე, ა. ხოფერია, ნ. ღლონტი, მ. ალხაზოვი, ნ. კილურაძე, დ. პატარაძე, ა. ბერიძე, მღვ. კ. ჭანტურია, ვ. ყანჩელი, მღვ. ა. მეგრელიძე, ი. იოსელიანი, ი. გალსბურგ, ვ. თოფურიძე, კ. ხავთასი, მ. ანდღულაძე. შ. ცხადაია. ს. ნამჩეიშვილი, ფ. დავითაია, მღვ. ა. თოხაძე, ვ. კაჭარავა, ს. მოინიანც, ე. ფულარია, ა. ლოლუა, ბ. ბერეჟიანი, ა. ქლენტი, ა. ბურჭულაძე, ი. რამიშვილი, ბ. ელიავა, გ. ნადირაძე და ლ. ჩაჩანიძე; ათ-ათი შაური: ბ. ხოფერია, თ. ლ. აბაშიძე, კ. შათირიშვილი, გ. სარჯველაძე, ს. ხოშტარია, პ. ურუშაძე, მაღლაკელიძე, პ. ტორონჯაძე, დ. ავალიანი, ფირალოვი, ა. ბებია, კ. დარჩია, ლ. მარგალიტაძე, ე. ქადიეშვილი, ვ. ხოშტარია, ე. გაბელია, კ. მახარაძე, X., გ. კლდიაშვილი, ლ. შაფათავა და მ. თურქია.

სულ 60 მან. 50 კ. აქედან ტელეგრამებს, პანაშვიდის გადახდის დროს სანთლებსა და გამოგზავნაზედ დაიხარჯა 5 მან. 20 კაპ. დარჩა 55 მან. 30 კაპ., რომელსაც გაახლებთ *)

გ. მარგალიტაძე.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

22 აგვისტო

პეტერბურგი. დიდი მთავრის ალექსანდრე მიხეილის ძის მეუღლე ქსენია ალექსანდრეს ასული აი-ტოდორს წავიდა (ყირიმს).

ვარშავა. გენერალ-გუბერნატორის მოგზაურობის დროს, რკინის გზის სადგურებზე მაზრის უფროსები ეგებებოდნენ გენერალ-ადიუტანტს ჩერტკოვს; სამზღვარზე—ტორნში—სამზღვრების კომისარი დაუხვდა. იმპერატორის გენერალ-ადიუტანტი მიესალმა მისის უდიდებულესობის სახელობით. პეტერბურგისა და ნარვის დრაგუნთა პოლკების ოფიცრებს გერმანიის ოფიცრების დეპუტაცია მიეგება. პარადი უშინ იყო და მშვენიერ სანახაობას წარმოადგენდა. იმპერატორი ვილჰელმი ესაუბრა გენერალ ჩერტკოვს, რუსის ოფიცრებს, ყველას ხელი ჩამოართვა, ყველას ცალკ-ცალკე ელაპარაკა და შემდეგ ყველანი გერმანიის დედოფალს წარუდგინა. საღამოს 6 საათზე განსაკუთრებით მიიღო რუსების ოფიცრები. 7 საათზე ქალაქმა სადილი გაუმართა

ნიუ-იორკი. იმ ეკიპაჟის მეეტლე, რომელშიაც რუზველტი იჯდა, დაჯახების გამო 25 ნაბიჯზე განზე გადავარდნილა და მძიმედაც დაშავებულა. პრეზიდენტი ეკიპაჟის ნამტვრევების ქვეშ მოჰყოლია, მაგრამ სხვის დაუხმარებლად ჩქარა გამომძვრალა იქიდან. პრეზიდენტსა და იმის კერძო სეკრეტარს კორტელიუს პირის სახე დაუჟეჟიათ. პრეზიდენტი დამშვიდებული ყოფილა და საიდუმლო პოლიციის აგენტის გარდაცვალების გამო მწუხარება გამოაცხადა. პრეზიდენტი და იმისი თანამგზავრნი მახლობელ სახლში შევიდნენ; გზა აღარ განაგრძეს და წავიდნენ ბრიჯპორტს, სადაც გემზე დასხდნენ და ოუსტერბეის გაემგზავრნენ.

ზაგრები. ხმა მოვიდა, წუხელის გლეხებს არეულობა მოუხდენიათ. მანიფესტაციები გაუმართავთ აგრეთვე ქალაქებში: კარლშტადტსა, ვინკოვცსა, ოგულინსა, გოსპიცსა და ცარიცში. გუშინ არეულობის დროს 29 კაცია დაჭრილი. როგორც სჩანს, არეულობა წინად-განზრახული უნდა იყოს, იმიტომ რომ ზოგიერთ ჯგუფს სიები ჰქონდათ ხელში იმ სერბთა, რომელთაც საკუთარი სახლები ჰქონდა. სერბიელ ვაჭრებისაგან არავინ არაფერს ჰყიდულობს. ის სერბიელები, რომელნიც ხორვატების მაღაზიებში მუშაობდნენ, ყველანი დაითხოვეს. უმეტესი ნაწილი სერბთა სავაჭროებისა დაიკეტა.

ზაგრები. არეულობამ საღამომდე გასტანა ქუჩებში. არეულობაში მონაწილეთ განიზრახეს მეთაურების ციხიდან განთავისუფლება. საღამოს ქვეითა ჯარის სამი ბატალიონი მოვიდა. სამხედრო წესები გამოცხადებულია. მეზობელ სოფელს ვრაბეზშიაც არეულობაა გლეხებისა. ჟანდარმებს ქვები დაუშინეს და იმათაც თოფები გაისროლეს; ერთი გლეხთაგანი მოჰკლეს და რამდენიმე დაიჭრა. უმთავრესი ადგილები ზაგრებისა ჯარებითაა დაჭერილი, ოპოზიციის გაზეთები დაიჭირეს. გაზეთი „სრბობრან"-ი, რომლის წერილებმაც გამოიწვია არეულობა, აღკრძალეს. სამხედრო წესების შემოღებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

პეტერბურგი. გამოცხადებულია, რა წეს-რიგით უნდა გაიხსნას ჯავშნიან გემ „რუსალკა"-ზე დაღუპულ ზღვაოსანთა სახელობაზე აგებული ძეგლი: 6 სექტემბერს სულის მოსახსენებელი წირვა და პანაშვიდი იქნება ნავთსადგურის სიმონოვსკი ეკლესიაში; 7 სექტემბერს ჯარები გამოცხადდებიან ძეგლთან. როცა ძეგლს ფარდას მოჰხდიან, რეველის ახლო ზღვაში მყოფი გემები ზარბაზნებს დასცლიან და ბაირაღებით მოირთვებიან. შემდეგ ძეგლს აკურთხებენ, პარაკლისს გადაიხდიან; ზღვაოსანთა საზაფხულო სადგომში საუზმე გაიმართება და ჯარის კაცებისათვის—სადილი.

საკომერციო სასამართლომ გაარჩია კუტუზოვისა და მანტკეს საბანკირო კონტორის გაკოტრების გამო აღძრული საქმე. სასამართლომ იცნო, რომ დამნაშავენი ბოროტ-განზრახვით გაკოტრდნენ. კრედიტორებს მანეთზე 13 კაპეიკი დაურიგეს.

---

*) ეს ფული რედაქციამ უკვე გადასცა ქართ. დრამ. საზოგ. გამგეობას.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

გამოსაღები ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს—1) № 1 სწრაფი—დილის 6 ს. და 45 წ. (7 ს. 43 წ.); 2) № 3 საფოსტო—ნაშუადღევის 5 ს. 9 წ. (6 ს. 7 წ.); 3) № 5 სამგზავრო—დილის 8 ს. 29 წ. (9 ს. 27 წ.).

ბაქოს—1) № 2 სწრაფი (მხოლოდ პარასკევობით)—დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.). 2) № 4 საფოსტო—დილის 12 ს. 36 წ. (1 ს. 34 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.).

ბორჯომს—№ 7—დღის 1 ს. 30 წ. (ს. 28 წ.)

ყარსს—№ 74/75 საღამ. 8 ს. 30 წ. (9 ს. 28 წ.).

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან—1) № 2 სწრაფი—დილის 9 ს. 4 წ. (10 ს. 2 წ.); 2) № 4 საფოსტო—დილის 11 ს. 34 წ. (12 ს. 32 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღ. 6 ს. 39 წ. (7 ს. 37 წ.).

ბაქოდან—№ 1 სწრაფი (შაბათობით)—დღის 2 ს. 45 წ (3 ს. 43 წ.); № 3 საფოსტო—დღის 3 ს. 56 წ. (4 ს. 54 წ.); № 5. ამგზავრო—დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.).

ბორჯომიდან—№ 8—საღ. 5 ს. 59 წ. (6 ს. 57 წ.).

ყარსიდან—№ 76/77 დილის 6 ს. 20 წ. 7 ს. 18 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) № 2 სწრაფი—ღამის 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) № 4 საფოსტო—საღამ. 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); № 6 სამგზავრო—დილის 7 ს. 5 წ. (8 ს. 3 წ.).

გ) ქუთაისიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.); 2) ღამის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.)

ბათუმისაკენ—1) დღის 12 ს. 55 წ. (1 ს. 53 წ.) 2) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ). 3) დღის 3 ს. 40 38 წ. (4 ს. წ..)

შორაპნისაკენ—დღის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

განცხადებანი

მარგანეცის მრეწველთა კრების საბჭო

ამით აცხადებს, რომ 1902 წლის 31 აგვისტოს, შუადღის 12 საათზე, ქ. ქუთაისში საბჭოს სადგომში მოხდება საჯარო ვაჭრობა, რომლით **იჯარით გაიცემა** ჭიათურის სამრეწველო რაიონში **ორის გზის გაკეთების** საქმე; გზები გასაკეთებელია „ნაფარცხევ-გოგოლაურ"-სა და „კოკოცაურ"-ში, სულ 8724 მანათისა და 33 კაპ.

ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში ვაჭრობის დაწყებამდე უნდა წარუდგინოს საბჭოს გირაოდ სამუშაოს ღირებულობის 10% ნაღდი ფულით ან მთავრობის მიერ უზრუნველ ყოფილ სარგებლიან ქაღალდებით (გირავნობის მოწმობები არ მიიღებიან).

ხარჯთ-აღრიცხვისა და გეგმის გასინჯვა შეიძლება ყოველ დღე საბჭოს სადგომში. ვაჭრობის დამტკიცება თუ არ დამტკიცება საბჭოს სრულს უფლებას შეადგენს.

(ნ. 3—2)

ტფილისის ქალაქის
გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 26 აგვისტოს, შუადღის 12 საათზედ, გამგეობისავე თანადასწრებით, **მოხდება საჯარო ვაჭრობა**, რომელზედაც გაიცემა შემდეგ ადგილების დაგებისა და მოკირწვლის საქმე: 1) საქმე № 282—1900 წ. კახეთის გზა-ტკეცილისა და ლაზარევის ქუჩის ნაპირებისა, სულ 1100 ოთხ-კუთხი საჟენი, სამუშაო 2750 მანეთისაა; 2) ს. № 394—1902 წ. ფალავანდოვის ქუჩის ნაწილისა, კახეთის გზა-ტკეცილიდან დაწყებული, სულ 300 ოთხ-კუთხი საჟენი, 900 მანეთისა; 3) ს. № 446—1900 წლ. გზისა ლიანდაგის გასასვლელიდან კაჩეროვის ქუჩამდე, 300 ოთხ-კუთხი საჟენი, 900 მანეთისა; 4) ს. № 575—1902 წლ. გზისა კახეთის მოედნიდან ხოჯივანქის სასაფლაომდე, 300 ოთხ-კუთხი საჟენი, 900 მანეთისა; 5) ს. № 578—1902 წლ. მნაცაკანის აღმართისა, კახეთის გზა-ტკეცილიდან დაწყებული, 100 ოთხ-კუთხი საჟენი, 300 მანეთისა.

მსურველთ პირობების გასინჯვა შეუძლიანთ გამგეობის საამშენებლო განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 9-დან ნაშუადღევის 2 საათამდე.

(3—3)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი.	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
დ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო	1	—
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე	1	50
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ.	—	80
სოფლის კუნწულა—დ. მაჩხანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუვე—საბა სულხან ორბელიანისა.	—	40
კაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	30
რაფ. ერისთავის I ტომი	—	30
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	30
სამზარეულო—ქართული და ევროპიული საჭმელებისა.	1	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მამად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
ღვინის დაყენება პროფეს. ვ. პეტრიაშვილისა.	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა	—	50
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა.	—	20

პროვინციელთ შეუძლიანთ წიგნები ფას დადებით გამოიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიანთ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ Грузинское Издательское Товарищество.

ახალი წიგნი

შ. არაგვისპირელი

წიგნი მეორე

ფასი 40 კაპ.

იყიდება წიგნების გამომცემელ ქართ. ამხ. მაღაზიაში, ლორის მელიქოვის ქუჩაზე ქ. ტფილისში.

ახალი წიგნი

ფიზიოლოგია

დ-რი ფოსტერისა

სურათებით

ფასი 25 კ.

იყიდება წიგნების გამომცემელ ამხ. კიოსკში, ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში.

ქუთაისში, ვ. ბეჟანიშვილის მაღაზიაში, იყიდება „ცნობის ფურცლი"-ს №№-ბი, თითო №-რი 3 კ. დამატებით—5 კაპეკ

Дозв. ценз. Тифлисъ, 23 Августа, 1902 г.
ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).